




საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გააღიშვილი მალხაზ მიხეილის ძე



გააღიშვილი მალხაზ მიხეილის ძე (დ. 27. IX. 1920, მცხეთა), ბიოფიზიკოსი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (1988; წ.-კორ. 1979). ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1975). თეორ. და გამოყენებითი ბიოფიზ. განათლების საერთაშ. ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი. 1941 დაამთავრა თსუ-ის ქიმ. ფაკ-ტი ფიზიკური ქიმ. სპეციალობით. 1941-44 იყო საქართვ. ჰიგიენის ინ-ტის ქიმიკოს-ანალიტიკოსი. 1947-86 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ფიზიოლ. ინ-ტში, სადაც 1962 შექმნა ბიოფიზ. ლაბორატორია (შემდეგ – ბიოფიზ. სექტორი). მისი ინიციატივით საქართვ. მეცნ. აკად. ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინ-ტის ბიოფიზ. სექტორის ბაზაზე დაარსდა საქართვ. მეცნ. აკად. მოლეკულური ბიოლ. და ბიოფიზ. ინ-ტი. 1986-2000 იყო აღნიშნული ინ-ტის დირექტორი, 2000-06 – საქართვ. მეცნ. აკად. მოლეკულური ბიოლ. და ბიოფიზ. ინ-ტის ზემოლეკულური სისტემებისა და უჯრედის ბიოფიზ. ლაბორ. გამგე, 2006-იდან – ამავე ინ-ტის ბიოლ. ძვრადობის განყ-ბის გამგე, 1989-2002 – საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმის წევრი და ბიოლ. განყ-ბის აკად. მდივანი, 2004-იდან – საქართვ. მეცნ. ეროვნული აკად. პრეზიდიუმის მრჩეველი, 2001-06 – საქართვ. მეცნ. აკად. ცენტრალური სამეცნ. ბიბლიოთეკის დირექტორი. 1956-2005 თსუ-ის ბიოლ. და ფიზ. ფაკ-ტებზე ეწეოდა სამეცნ.-პედ. საქმიანობას. ზ., როგორც ფიზ. ფაკ-ტის პროფ., კითხულობდა ლექციებს შემდეგ დისციპლინებში: ზოგადი და უჯრედის ბიოფიზიკა, მოლეკულური ბიოლოგია, რადიობიოლოგია. ზ-მა საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ბიოფიზ. და მოლეკულური ბიოლ. რიგი მიმართულებების განვითარებას. მისი კვლევის თემაა მეორეული ფილამენტების მაკრომოლეკულების როლი კუნთის უჯრედის მოქმედებაში; კუნთის გიგანტური ცილების მინორულ ცილებთან ურთიერთქმედება და მათი როლი კუნთის შეკუმშვის პროცესში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ.შ. ერთი

მონოგრაფია („კუნთის მოქმედების ფიზიკო-ქიმ. საფუძვლები”; თბ., 1971).
დაჭილდოებულია ღირსების ორდენით (1997).
